„კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების“ დამოკიდებულება სხვა ინდური მიმდინარეობების მიმართ: პლურალისტური და ექსკლუზივისტური თეოლოგიის ფონზე

(ქართული და ბელგიური კონტექსტის გათვალისწინებით)

მაია ქირია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია ქირია

18.01.2026

აბსტრაქტი

თანამედროვე ურთიერთდაპირისპირებულ სამყაროში, რომლის წიაღშიც ეს ნაშრომი დაიწერა, საყოველთაო ერთიანობასა და მშვიდობის როლზე საუბარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ნაშრომი აანალიზებს თბილისის ,,კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების“ თავისებურებებს ინდური ინკლუზიურობისა და ქართული კულტურის ფონზე, რაც წარმოაჩენს ექსკლუზიურ და პლურალისტურ თეოლოგიურ ჩარჩოს შორის არსებულ რთულ დინამიკას.

ნაშრომი განიხილავს ჯ.ჰიკის პლურალისტურ თეოლოგიურ ჩარჩოს, როგორც ახალ პარადიგმას თეოლოგიაში, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას, ურთიერთაღიარებას და ურთიერთპატივისცემას, თუნდაც, სხვადასხვა განსხვავებულ რელიგიურ ტრადიციებს შორის. ამის საპირისპიროდ, ექსკლუზიური თეოლოგია ქმნის მკაცრ საზღვრებს თავისი მოძღვრების უნიკალურობაზე ხაზგასმითა და აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობის განცდით, რაც განაპირობებს ერთმანეთის მიუღებლობლობას და იწვევს დაპირისპირებებს და ომებს ადამიანთა შორის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, ჯ.ჰიკის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით შეისწავლოს თბილისის ,,ჰარე კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების“ დამოკიდებულება სხვა ინდური ტრადიციების მიმართ. ტრადიციულად, ინდუიზმი გამოირჩევა პლურალისტური თეოლოგიური ხედვებით, რომელიც ამოზრდილია მათი ფილოსოფიიდან და პრაქტიკიდან, ხოლო, ,,კრიშნას საზოგადოების“ დამოკიდებულება ავლენს ექსკლუზიურობის ნიშნებს, რითიც უპირისპირდება ინდუიზმის თანდაყოლილ ინკლუზიურ/პლურალისტურ ბუნებას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომი განიხილავს ინდუიზმის ინკლუზიურობის მოდელს და კრიშნას ცნობიერების საზოგადოების წევრების უპირატესობის განცდას, რაც საშუალებას მოგვცემს დავფიქრდეთ, რა შეიძლება ისწავლონ რელიგიებმა ინდუიზმის ინკლუზიურობისგან, იქნებ ინდუიზმის პლურალისტური მოდელი გახდეს ის მედიუმი, რომელიც სხვადასხვა განსხვავებულ რელიგიურ ტრადიციებს შორის კომუნიკაციის არხების გახსნის საშუალებას მოგვცემს.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ფენომენოლოგიური დიზაიანი. კვლევის ფარგლებში შედგა ნახევარსტრუქტურებული ინტერვიუები. გარდა ინტერვიუებისა, კვლევა მოიცავდა მონაწილეობით/ჩართულ დაკვირვებას. მონაცემთა გაანალიზება მოხდა თემატური ანალიზის მიხედვით.

კვლევის შედეგები აჩვენებს ინდუისტთა ინკლუზიურ და არაინდოელ კრიშნას საზოგადოების წევრთა ექსკლუზიურ თეოლოგიურ ჩარჩოს, რაც განხილულია ჯ.ჰიკის პლურალისტური თეორიის შუქზე, რომელიც ხაზს უსვამს პლურალისტური თეოლოგიის აუცილებლობას საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში.

აღნიშნული კვლევა შეიძლება ჩაითვალოს ცოდნაში შეტანილ წვლილად, რადგან ამ თემის შესახებ აკადემიური კვლევა დღემდე არ შექმნილა ქართულ აკადემიურ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ინდუიზმი, ინტერრელიგიური დიალოგი, პლურალიზმი, ინკლუზია, ექსკლუზივიზმი, ეკუმენიზმი, ISKCON, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

Abstract

In the contemporary, conflicted world in which this work was written, the discussion of the role of universal unity and peace assumes particular significance. The paper analyzes the characteristics of the Tbilisi "International Society for Krishna Consciousness" against the backdrop of Indian inclusiveness and Georgian culture, which reveals the complex dynamics between the exclusive and pluralistic theological framework.

The paper discusses J. Hick's pluralistic theological framework as a new paradigm in theology, which promotes peaceful coexistence, mutual recognition and mutual respect, even among different religious traditions. In contrast, exclusive theology creates strict boundaries by emphasizing the uniqueness of its doctrines and the feeling of possessing absolute truth, which leads to mutual rejection and causes conflicts and wars between people.

The aim of the research is to study the attitude of the Tbilisi "International Society for Hare Krishna Consciousness" towards other Indian traditions using the theoretical framework of J. Hick. Traditionally, Hinduism is distinguished by pluralistic theological views, which are brought up from their philosophy and practice, while the attitude of the "Krishna Society" shows signs of exclusivity, which contrasts with the inherent inclusive/pluralistic nature of Hinduism.

Based on the aim of the research, the paper discusses the inclusive model of Hinduism and the feeling of superiority of the members of the Krishna Consciousness Society, which will allow us to think about what religions can learn from the inclusiveness of Hinduism, perhaps the pluralistic model of Hinduism can become a medium that will allow us to open channels of communication between different religious traditions.

The research method used is the phenomenological design of qualitative research. The research included semi-structured interviews. In addition to interviews, the research included participatory/engaged observation. The data were analyzed using thematic analysis.

The results of the research demonstrate the theological framework of inclusive Hindus and exclusive non-Hindu Krishna community members, which is discussed in the light of J. Hick's

pluralistic theory, which emphasizes the need for pluralistic theology to establish universal peace in an interconnected world.

This study can be considered a contribution to knowledge, as academic research on this topic has not been created in the Georgian academic context to date.

Keywords: Hinduism, Interreligious dialogue, Pluralism, Inclusion, Exclusivism, Ecumenism, ISKCON, International Society for Krishna Consciousness.

მადლობა

მსურს უდიდესი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ მალხაზ სონღულაშვილის მიმართ. მისი უწყვეტი მხარდაჭერისა და ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის შექმნა. გარდა იმისა, რომ მისმა ხელმძღვანელობამ მრავალი გზით გაამდიდრა ჩემი აკადემიური განათლება, ასევე მადლიერი ვარ იმ უზარმაზარი ცოდნის მიღებისათვის, ორიგინალური ხედვისა და განსხვავებული პერსპექტივით მუშაობის სწავლებისათვის.

ასევე მსურს მადლობა გადავუხადო პროფესორ სოფო ზვიადაძეს, რომლის მხარდაჭერა უწყვეტი იყო ფაკულტეტზე სწავლის განმავლობაში. სწორედ მან, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, წარადგინა ჩემი კანდიდატურა ბელგიაში, ლუვენის ევანგელურ უნივერსიტეტში სასწავლებლად.

როგორც მკვლევარმა, ნაშრომისთვის აუცილებელი მასალების დიდი ნაწილი შევაგროვე ბელგიაში სწავლის განმავლობაში, ამან მომცა საშუალება გამეფართოვებინა ჩემი აკადემიური გამოცდილება და თვალსაწიერი, მქონოდა ურთიერთობა იგივე სფეროს წარმომადგენელ უცხოელ სტუდენტებსა და ლექტორებთან და ამ კონტაქტების საშუალებით გავხდი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაწილი, რაც საბოლოოდ დადებითად აისახა ჩემს სამაგისტრო ნაშრომზეც, სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ, მადლიერი ვარ მათი ამ შესაძლებლობისთვის.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ლუვენის ევანგელური უნივერსიტეტის პროფესორ Jelle Creemers, რომელმაც ხელმძღვანელობა გამიწია ლუვენში სწავლის განმავლობაში.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც დამითმეს დრო და სწორედ მათმა მონაწილეობამ გახადა შესაძლებელი ეს კვლევა.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ოჯახს, მეგობრებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროცესში მორალურად და ემოციურად მხარი დამიჭირა. მათი მხარდაჭერა იყო არსებითად მნიშვნელოვანი მუშაობის პროცესში.